



ფინანსური უწყისების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში ნაჩვენებია თუ როგორ გამოვიყენოთ ფინანსური უწყისები ფირმის ფინანსური შედეგებისა და მდგომარეობის შეფასებისთვის. ჩვენ განვიხილავთ ფინანსური ანალიზის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი კომპონენტებს: სასარგებლო ინფორმაციას, მონაცემების შედარების სტანდარტებს და ანალიზს მეთოდებს. ნაშრომში განხილულია ანალიზის სამი ძირითადი მეთოდი: ჰორიზონტალური ანალიზი, ვერტიკალური ანალიზი და ფარდობითი მაჩვენებლების ანალიზი. ჩვენ გამოვიყენებთ თითოეულ მათგანს ფინანსური ანგარიშგების კვლევისას, სს „თელასის“-ის ანგარიშგების საფუძველზე. სტატიის დასასრულს ჩამოყალიბებულია და გავრცობილი ფარდობითი მაჩვენებლების ანალიზი.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი ამ მეთოდებს იყენებს, იმისათვის რომ ფინანსური ანგარიშგების ზოგადი დანიშნულების მონაცემები გარდაქმნას მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციად. ფინანსური ანალიზი ამცირებს ჩენს ვარაუდებს, ეჭვებსა და გაურკვევლობას ბიზნეს-გადაწყვეტილების მიღებისას. ამ სტატიაში აღწერილია ფინანსური ანალიზის მიზანი, მისი საინფორმაციო წყაროები, როგორ გამოვიყენოთ მონაცემების შედარება. განხილულია რამდენიმე საკითხი გამოთვლებთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: სტრუქტურული ანალიზი, დინამიკური ანალიზი,

შესავალი

ბიზნესში ნებისმიერი ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მენეჯერი ფლობდეს სხვადასხვა ფინანსური ინფორმაციას. ამ ინფორმაციის ძირითად წყაროებს წარმოადგენენ ფინანსური უწყისები, სადაც ასახულია ფირმის სამეურნეო საქმიანობის შედეგად მომხდარი ცვლილებები და ფინანსური შედეგები. ფინანსური უწყისების ანალიზის ჩატარების დროს, (ეს შეეხება როგორც ფინანსურ ანგარიშგებაში შემაგაღ, ასევე სხვა, მაგ. წარმოების უწყისებს) როგორც წესი პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ ანალიზის მიზანი, თუ რა

ხატუნა ხარხელაური

ბიზნესის ადმინისტრირების

აკადემიური დოქტორი

სტუ ასისტენტ-პროფესორი

ელ-ფოსტა: kh_kharkhelauri@yahoo.com

ამოცანების შესრულება ან პრობლემის გადაჭრა გვსურს მომავალში. ფირმის შესაკუთრებს, პარტნიორებს, ინვესტორებს, კრედიტორებს გადაწყვეტილებების მისაღებად ხშირად სჭირდებათ უფრო სრულყოფილი და კონკრეტული ინფორმაცია ვიდრე ეს მოცემულია ამ უწყისებში. მაგალითად როგორია ფირმის მომგებიანობა, გადახდისუნარიანობა, ლიკვიდურობა, ან რამდენად აქტიურად იყენებს იგი მის ხელთ არსებულ რესურსებს. ფინანსური ანალიზის ჩატარებისას ვიყენებთ სხვადასხვა მეთოდებს, მათ შორისაა ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი.

ვერტიკალური¹ და

ჰორიზონტალური ანალიზი

ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი არის თითოეული მუხლის ან მუხლების ჯგუფის შეფასების ხერხი, მის ხვედრით წილს დადგენა ჯამურ (საბაზისო) მაჩვენებელში.

როგორც წესი საბაზისო უწყისის სტრუქტურული ანალიზის დროს საბაზისო მაჩვენებლად აიღება მთლიანი აქტივები, როგორც აქტივების, ასევე მათი წარმოშობის წყაროების სტრუქტურის დასადგენად (რადგან, მთლიანი აქტივების ჯამი ტოლია ვალდებულებებისა და კაპიტალის ჯამისა). მოგება/ზარალის უწყისის სტრუქტურული ანალიზისას კი საბაზისო მაჩვენებლად აიღება შემოსავალი რეალიზაციიდან. ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზის მიზანია გამოკვლეული იქნეს მათი ცალკეული მუხლების ხვედრითი წილის ცვლილებები და გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები. ჰორიზონტალური ანალიზის მიზანს წარმოადგენს დადგინდეს როგორც ბალანსის, ისე სრული შემოსავლების ანგარიშგების თითოეული მუხლის ცვლილება საბაზისო წელან მიმართებაში, როგორც

¹ ასევე ცნობილია როგორც common-size analysis.



ცხრილი 1: სტრუქტურული ბალანსი (ათას ლარებში)
common-size Balance Sheet

აქტივები	2012წ	%	2013	%	2014	%	2015	%
ძირითადი საშუალებები	182291	63	132212	58	156619	59	179446	68
არამატერიალური აქტივები	3094	1,1	2012	0,9	1570	0,6	1390	0,5
რესტრუქტურეზებული სავაჭრო დებეტორ. დავალიანება, გრძელვადიანი ნაწილი	4917	1,7	5527	2,4	5422	2	4644	1,8
გაცემული სესხები	6957	2,4	0		0		0	
სულ გრძელვადიანი აქტივები	197259	69	139751	61	163611	62	185480	70
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11502	4	10545	4,6	10331	3,9	9005	3,4
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	30783	11	35257	15	42381	16	49337	19
გადახდილი ავანსები	739	0,3	935	0,4	761	0,3	1653	0,6
წინასწარ გადახდილი მოგების მიმდ. გადასახადი	1500	0,5	0		8307	3,1	1744	0,7
ფულადი სახსრები (გამოყენება შეზღუდული)	1513	0,5	3609	1,6	4787	1,8	2939	1,1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	44199	15	38517	17	34626	13	13165	5
სულ მიმდინარე აქტივები	90236	31	88863	39	101193	38	77843	30
სულ აქტივები	287495	100	228614	100	264804	100	263323	100
კაპიტალი და ვალდებულებები								
სააქციო კაპიტალი	112429	39	112429	49	112429	42	112429	43
დამატებითი შენატანები კაპიტალში	25747	9	25747	11	25747	9,7	25747	9,8
სხვა რეზერვები	0		0		-73	-0	117	0
აკუმულირებული ზარალი	-13624	-5	-51507	-23	-23523	-8,9	-25754	(9,8)
სულ საკუთარიკაპიტალი	124552	43	86669	38	114580	43	112539	43
პროცენტიანი სესხები და თამასუქები	38882	14	33057	14	29536	11	18935	7,2
გადავადებული სავადასახადო ვალდებულებები	6058	2,1	672	0,3	4219	1,6	4848	1,8
ანარიცხები					-		3092	1,2
შრომით საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები					1120	0,4	1016	0,4
სახელმწიფო გრანტები	2840	1	2328	1	1932	0,7	1878	0,7
მომხმარებლისაგან მიღებული აქტივები	0		84	0	113	0	74	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	47780	17	36141	16	36920	14	29843	11
პროცენტიანი სესხები და თამასუქები	7651	2,7	5801	2,5	6178	2,3	4941	1,9
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	87790	31	74140	32	81757	31	89717	34
მიღებული ავანსები	6579	2,3	10680	4,7	7498	2,8	8963	3,4
სახელმწიფო გრანტები	440	0,2	423	0,2	429	0,2	447	0,2
მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელები	-		832	0,4	-		-	
შრომით საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	0		0		53	0	64	0
სხვა სავადასახადო დავალიანება	11807	4,1	12423	5,4	12731	4,8	14696	5,6
სხვა მომდინარე ვალდებულებები	896	0,3	1505	0,7	4658	1,8	2113	0,8
სულ მიმდინარე ვალდებულებები	115163	40	105804	46	113304	43	120941	46
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	287495	100	228614	100	264804	100	263323	100

წყარო: www.telasi.ge/sites/default/files/attachments/Annual%20Report%202015_application_geo.pdf

აბსუდუტურ ისე პროცენტულ მაჩვენებლებში და გაკეთდეს შესაბამისი შეფასებები.

ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური ანალიზის მეშვეობით ხდება საწარმოს რესურსებისა და მისი დაფინანსების წყაროების სტრუქტურის დადგენა. მისი თითოეული მუხლის მთლიან აქტივების მიმართ ხვედრი წილის გამოთვლა როგორც მიმდინარე წლის, ასევე წინა (საბაზისო) წლის მაჩვენებლებისათვის. შემდეგ გამოვთვლით მიმდინარე წლის ხვედრითი წილის მაჩვენებლების გადახრარებს საბაზისო წელის

მაჩვენებლებთან. შემდეგ ვაფასებთ როგორია ამ სტრუქტურული ცვლილებების დინამიკა. საერთოდ, ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურული ანალიზის დროს უარყოფით მოვლენად ითვლება ფულადი თანხების ხვედრითი წილის შემცირება, მარაგებისა და მოთხოვნების წილის ზრდა, ვალდებულებების ხვედრითი წილის ზრდა და საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილის შემცირება. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ავანსირებული კაპიტალის ბრუნვალობა ნელდება, იზრდება კრედიტორებზე საწარმოს



**ცხრილი 2: სს „თელასის“ სრული შემოსავლის ანგარიშის სტრუქტურული
(გერტიკალური) ანალიზი (ათას ლარებში)**

	2012	%	2013	%	2014 წ	%	2015	%
შემოსავალი გაყიდვებიდან	251641		250570		275841		313247	
სხვა შემოსავლები	8840		11183		11923		14671	
სულ შემოსავლები	260481	0	261753		287764		327918	
შესყიდული ელექტროენერგია	(129762)	49,8	(126959)	48,5	(173054)	60,1	(226410)	69,0
ხელფასები და სხვა გადასახადები თანამშრომლებისათვის	(52238)	20,1	(51579)	19,7	(56120)	19,5	(52063)	15,9
ცვეთა და ამორტიზაცია	(11835)	4,5	(9542)	3,7	(8223)	2,9	(9161)	2,8
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(2107)	0,8	(1541)	0,6	(1430)	0,5	(2409)	0,7
შექმნილი და გაუქმებული რეზერვები, წმინდა	(812)	0,3	(5795)	2,2	(3021)	1,1	(4915)	1,5
გაუფასურების ხარჯი	0		(64270)	24,6	0			
სხვა საოპერაციო ხარჯები	(21884)	8,4	(47216)	18,0	(16150)	5,6	(16948)	5,1
სულ საოპერაციო ხარჯები	(218638)	83,9	(295312)	112,8	(251956)	87,6	(311906)	95,1
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული (ზარალი-მოგება)	41843	16,1	(33559)	(12,8)	35808	12,4	16012	4,9
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	4272		3194		1905		1801	
ფინანსურ საქმიანობაზე განეული დანახარჯები	(8974)		(1781)		(1570)		(1433)	
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი/მოგება წმინდა	1226		(1633)		(3431)		(9213)	
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე	37141	14,3	(33779)	(12,9)	32712	11,4	7167	2,2
მოგების გადასახადის გადახდაზე განეული ხარჯები	(12183)		(4104)		(4728)		(596)	
წლის მოგება/(ზარალი)	24958		(37883)		27984		6571	
სხვა სრული მოგება/ზარალი	0		0		(73)		(190)	
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	24958	9,6	(37883)	(14,5)	27911	9,7	6761	2,0
საბაზო და გაზაფხული მოგება ერთ აქციაზე მოგება ერთ აქციაზე	0,00026		-0,00034		0,00025		0,00006	

წყარო: www.telasi.ge/sites/default/files/attachments/Annual%20Report%202015_application_geo.pdf

დამოკიდებულების ხარისხი და ფინანსური მდგომარეობა იძაბება.

ანალიზის ამ მეთოდის გამოყენება განვიხილოთ სს „თელასის“ ფინანსური ანგარიშგების [1] საფუძველზე და გავაკეთოთ შესაბამისი შეფასებები.

როგორც ცხრილი 1: -დან ჩანს, სს „თელასის“ გრძელვადიან აქტივების მუხლებიდან, რესტრუქტურულიზებული საგაჭრო დებეტორული დავალიანება, გრძელვადიანი ნაწილილის ხვედრითი

წილი მთლიან აქტივებში 2013 წელს გაიზარდა 2012 წელთან შედარებით 1,7%-იდან 2,4%-მდე, ეს შეიძლება ჩაითვალოს უარყოფით შედეგად, რადგან ამ მაჩვენებლის ზრდა ნიშნავს, რომ ფირმის მენეჯმენტი ვერ ახერხებდა მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების საფასურის დროულ ამოღებას. შემდგომ წლებში შეიმჩნევა ამ მაჩვენებლის შემცირება, თუმცა 2012 წლის ნიშნულს, მაინც ვერ დაუბრუნდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საგაჭრო და სხვა დებეტორული



ცხრილი 3: სს „თელასის“ შემადარებელი საბალანსო უწყისი
Comparative Balance Sheets

აქტივები	2012წ	2013	აბს. გადაბ.	% ცვლ.	2014	% ცვლ.	2015	%
ძირითადი საშუალებები	182291	132212	(50079)	(28,47)	156619	(14)	179446	(1,56)
არამატერიალური აქტივები	3094	2012	(1082)	(34,97)	1570	(49)	1390	(55)
რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორ. დავალიანება, გრძელვადიანი ნაწილი	4917	5527	610	0,124	5422	10	4644	(5,55)
გაცემული სესხები	6957	0	(6957)	(100)	0	(100)	0	(100)
სულ გრძელვადიანი აქტივები	197259	139751	(57507)	(29,15)	163611	(17)	185480	(5,97)
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11502	10545	(957)	(8,32)	10331	(10)	9005	(21,7)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	30783	35257	4474	14,53	42381	37,7	49337	60,3
გადახდილი ავანსები	739	935	196	26,52	761	2,98	1653	124
წინასწარ გადახდილი მოგების მიმდ. გადასახადი	1500	0	(1500)	(100)	8307	453,8	1744	16,27
ფულადი სახსრები (გამოყენება შეზღუდული)	1513	3609	2096	138,53	4787	216,39	2939	94,24
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	44199	38517	(5682)	12,86	34626	(21,7)	13165	(70,2)
სულ მიმდინარე აქტივები	90236	88863	(1373)	(1,52)	101193	12	77843	(13,7)
სულ აქტივები	287495	228614	(58881)	(20,48)	264804	(7,9)	263323	(8,4)
კაპიტალი და ვალდებულებები								
სააქციო კაპიტალი	112429	112429	-	-	112429	-	112429	0
დამატებითი შენატანები კაპიტალში	25747	25747	-	-	25747	-	25747	0
სხვა რეზერვები	0	0			(73)	(100)	117	100
აკუმულირებული ზარალი	(13624)	(51507)	(37883)	278	(23523)	(72,7)	(25754)	89
სულ საკუთარიკაპიტალი	124552	86669	(37883)	(30,42)	114580	(8)	112539	(9,64)
პროცენტიანი სესხები და თამასუქები	38882	33057	(5825)	(14,98)	29536	(24)	18935	(51,3)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	6058	672	(5386)	(88,91)	4219	(30,3)	4848	(20)
ანარიცხები					-		3092	100
შრომით საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები					1120	100	1016	100
სახელმწიფო გრანტები	2840	2328	(512)	(18,03)	1932	(32)	1878	(33,9)
მომხმარებლისაგან მიღებული აქტივები	0	84	84	100	113	100	74	100
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	47780	36141	(11639)	(24,36)	36920	(22,7)	29843	(37,5)
პროცენტიანი სესხები და თამასუქები	7651	5801	(1850)	(24,18)	6178	(19,3)	4941	(35,4)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	87790	74140	(13650)	(15,55)	81757	(6,87)	89717	2,19
მიღებული ავანსები	6579	10680	4101	62,33	7498	14	8963	36,23
სახელმწიფო გრანტები	440	423	(17)	(3,86)	429	(2,5)	447	1,59
მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელები	-	832	832	100	-		-	
შრომით საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	0	0			53	0	64	0
სხვა საგადასახადო დავალიანება	11807	12423	616	5,22	12731	7,8	14696	24,46
სხვა მომდინარე ვალდებულებები	896	1505	609	67,97	4658	420	2113	135,
სულ მიმდინარე ვალდებულებები	115163	105804	(9359)	(8,13)	113304	(1,6)	120941	5
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	287495	228614	(58881)	(20,48)	264804	(7,89)	263323	(8,4)

დავალიანების მიმდინარე ნაწილის ხვედრითი წილის მაჩვენებელსაც ზრდის ტენდენცია ახასიათებს, 10,7%-იდან 15,4% 16% 18,7%-მდე. ამ მაჩვენებელის ასეთი დინამიკა, ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს დებიტორული დავალიანების მართვის შესახებ, აძლიერებს. რაც შეეხება ბალანსის ვალდებულებებისა და კაპიტალის მუხლებს აქ შეგვიძლია ორი მნიშვნელოვანი კოეფიციენტის გამოთვლა: საკუთარი კაპიტალ-

ისა და მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტები [1]. როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს 2012 წლისთვის საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი 43,3%-ია, ხოლო მოზიდული კაპიტალისა კი 56,7%, რაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იმის მანიშნებელია, რომ კომპანიის კრედიტორებზე დამოკიდებულება 50%-ზე მაღალია, რაც სასურველ მაჩვენებლად არ ჩაითვლება. 2013 წლისთვის ამ მხრივ მდგომარ-



ეობა კიდევ უფრო გაუარესებულია, ხოლო 2014-15წწ.-ში კი მაჩვენებლების თანაფარდობა უბრუნდება 2012 წლის ნიშნულს. სრული შემოსავლის ანგარიშგების სტრუქტურული (ვერტიკალური) ანალიზის ჩატარებისას გამოთვლების ბაზად აიღება შემოსავლები რეალიზაციიდან და დაითვლება მის მიმართ რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) თვითღირებულების, სხვა დანახარჯებისა და მოგების ხვედრითი წილები. ანუ ვითვლით რეალიზაციიდან მიღებული თითოეული ლარიდან რამდენი თეთრით იფარება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, რამდენი თეთრით სხვა დანახარჯები და რამდენი თეთრი გვრჩება მოგება. სს „თელასის“ მოგება/ზარალის უწყისის სტრუქტურული ანალიზისას ვხედავთ რომ 1012 წლის მონაცემებთან შედარებით შემოსავლებში დანახარჯების ხვედრითი წილი იზრდება, ხოლო მოგების ხვედრითი წილი მცირდება. ეს კომპანიისთვის არასასურველი მაჩვენებელია. მითუმეტეს, რომ წმინდა მოგებაის ხვედრითი წილი 2015 წელს 2% (მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში) 2012 წლის იგივე მაჩვენებელთან 9,6% თითქმის 5-ჯერ არის შემცირებული.

ამ ოთხი წლის განმავლობაში «საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგების მარვის» ცვლილებაში ასეთი ტენდენცია ფიქსირდება: 2012 წელს -16,1%; 2013 წელი ზარალიანია; 2014 წელს - 12,4 % და ბოლო 2015 წელს კი 4,9 %. აქვე აღსანიშნავია, რომ 2013 წლის ფინანსურ შედეგებზე გავლენა იქონია სხვა საოპერაციო ხარჯებისა და გაუფასურების ხარჯების ხვედრითი წილის მკვეთრმა ზრდამ. შესაბამისად პირველის 8,2%-იდან 18%-მდე, ხოლო მეორე მუხლის ნულოვანი მაჩვენებლიდან 24,6 %-მდე.

ჰორიზონტალური ანალიზის ჩატარებისას ჩვენ უნდა შევადგინოთ ე.წ. შემაღარებელი უწყისები, როგორც ბალანსის ასევე მოგება/ზარალის უწყისისა ⁴.^[5] შემაღარებელ უწყისში, როგორც წესი მოცემულია ბოლო რამოდენიმე წლის მაჩვენებლები. პირველ რიგში საბაზისო წლად უნდა ავირჩიოთ ყველაზე ადრეული წლის მონაცემები და მის მიმართ გამოვთვალოთ, როგორც აბსოლუტური გადახრა ასევე %-ული.

აბსოლუტური გადახრა ტოლია საანალიზო წლის მაჩვენებელს გამოკლებული საბაზისო წლის მაჩვენებელი. რაც შეეხება პროცენტულ გადახრას, იგი დაითვლება აბსოლუტური გადახრის გაყოფით საბაზისო წლის მაჩვენებელზე. ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზი

კვლავ განვიხილოთ, სს „თელასის“ ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე და გავაკეთოთ შესაბამისი შეფასებები.

ცხრილში მოცემული როგორც აბსოლუტური, ისე პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით შეგვიძლია გავაკეთოთ შესაბამისი შეფასებები (ინტერპრეტაციები). მაგ. 2013 წელს მთლიანი აქტივები კომპანიაში 20,48%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით. კლების ტენდენცია შემდგომ წლებშიც გრძელდება საბაზისო 2012 წლის მონაცემებთან მიმართებაში, მაგრამ თუ დინამიკას დავითვლით ჯაჭვურად, ანუ ყოველ საანალიზო წლის მონაცემს შევუდარებთ მის წინა წლის მონაცემს, და არა საბაზისო წლისას, 2014 წელს გვექნება 15,83% -ით გაზრდა ((264804-228614) : 228614). ასეთი შეფასებები შეგვიძლია გავაკეთოთ ბალანსის თითოეული მუხლის ცვლილებების შესახებ.

აქვე უნდა ავღნიშნოთ რომ, ობიექტური დასკვნების გაკეთებისთვის აუცილებელია, შემდგომი წლების მონაცემების კორექტირება ინფლაციის გათვალისწინებით. შემდეგ ვითვლით გადახრებს თანხის მიხედვით. ამისათვის საანალიზო პერიოდის მაჩვენებელს ვაკლებთ საბაზისო მაჩვენებელს. მაგ. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მიხედვით ძირითადი საშუალებები 2012 წელს იყო 182 291 000 ლარი, ხოლო 2013 წელს 132 212 000 ლარი. გადახრა (ინფლაციის გაუთვალისწინებლად) იქნება (50 079 000)⁶. შემდეგ ვითვლით პროცენტული ცვლილებას, რომელიც გამოითვლება საანალიზო პერიოდის მაჩვენებელის შეფარდებით საბაზისო მაჩვენებელთან გამრავლებული 100 - ზე. ჩვენს შემთხვევაში ეს იქნება 67,6%. ეს კი ნიშნავს რომ ბალანსის ეს მუხლი საბაზისო (ამ შემთხვევაში წინა წელთან) შედარებით შემცირდა 32,4%-ით. ასე შეგვიძლია გავაკეთოთ როგორც საბალანსო ისე მოგება/ზარალის უწყისის ტენდენციის (თრენდ ნალყისის).⁷

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანალიზის (მხოლოდ ერთი მეთოდის) მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ რომ სს „თელასის“ 2013 წელს ყველაზე ცუდი ფინანსური შედეგები და მაჩვენებლები ქონდა. მიუხედავად შემდგომი ორი წლის შედეგების გაუმჯობესებისა, მას მაინც დიდი ძალისხმევა დასჭირდება დაფინანსების წყაროების მოზიდვისა და შენარჩუნებისთვის.

² comparative balance sheet and comparative income statements.

³ უარყოფითი გადახრა.



ბამოყენებული ლიტერატურა

- 1 www.telasi.ge/sites/default/files/attachments/Annual%20Report%202015_application_geo.pdf
- 2 ი. ჭილაძე – «ფინანსური ანგარიში» თბ. 2011, გვ. 76.
- 3 «Managerial Accounting» - John j. Wild., Kan W.S.Haw. 3rd ed. McGraw-hill, Irwin 2012.
- 4 «Cost Accounting: a Managerial Emphasis» - Charles T. Horngren., Srikant M. Datar., Madhav V. Rajan. 14th ed. Prentice Hall 2012.

VERTICAL AND HORIZONTAL ANALYSIS OF FINANCIAL STATEMENTS

KHATUNA KHARKHELAURI
PhD of Business Administration
E-mail: kh_kharkhelaury@yahoo.com

Summary

This article shows how we use financial statements to evaluate a company's financial performance and condition. We explain financial statement analysis, its basic building blocks, the information available, standards for comparisons, and tools of analysis. Three major analysis tools are presented: horizontal analysis, vertical analysis and ratio analysis. We apply each of these using Research in JSC "Telasi" financial statements. This article expands and organizes the ratio analyses introduced at the end of each article.

Financial statement analysis applies analytical tools to general-purpose financial statements end related date making business decisions. It involves transforming accounting data in to more useful information. Financial statement analysis reduces our reliance on hunches, guesses, and intuition as well as our uncertainty in decision making. This article describes the purpose of financial statement analysis, its information sources, the use of comparisons, and some issues in computations.

Keywords: Common-size analysis, Comparative balance sheet, Comparative income statements.